ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

28 თებერვალი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 36 (10 449) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტი საეკლესიო დღესასწაულებზე

თევდორობაზე, ბიჭებო, თევდორობაზე!

იხ. მე-4 გვ.



საქართველოს ზამთრის ღია პირველობა ჩოგბურთში

მეტრეველი... მეტრეველის შვილი

სხვაგან არ ვიცით, აი სპორტში კი, ნამდვილად ასეა: შეეჩვევა გულშემატკივარი ამა თუ იმ ჩემპიონს, მის მუდმივ გამარჯვებებს, მაგრამ როდესაც დადგება ჟამი სპორტული კერპის სარბიელიდან წასვლისა, უცებ მოიწყენს.

რა გასაკვირია, როდესაც სპორტის მოყვარულთ განსაკუთრებით ახარებთ ჩემპიონთა გვარის გამგრძელებელთა გამოჩენა დიდ ასპარეზზე. ამიტომაც განსაკუთრებით გვეამაყება, რომ წარსულში მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი ჩოგბურთელი სპორტის დამსახურებული ოსტატის ალექსანდრე მეტრეველის უმცროსმა ვაჟმა მამის „ხელობას“ მოჰკიდა ხელი.

თბილისის 183-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეს, პირველთანრიგოსან დინამოელ ალექსანდრე მეტრეველს უფროსი მეტრეველი ავარჯიშებს. ვნახოთ, ეგებ მეტრეველთა ოჯახის ამ წარმომადგენელმა გაამართლოს ჩვენი იმედები, როგორც რამდენადმე ადრე ამას მისი უფროსი ძმის — ირაკლი მეტრეველისაგან ველოდით.

— უმცროს მეტრეველს მართლაც ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, მამასავით ჩინებული ჩოგბურთელი რომ დადგეს, მაგრამ ვნახოთ, ნუ ვიჩქარებთ —გვეუბნება საქართველოს ზამთრის ღია პირადი პირველობის (1975-1979 წლებში დაბადებულთა შორის) მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი, სპორტის ოსტატი დავით ნოზაძე.

პირველი ორი შეხვედრა ა. მეტრეველმა დამაჯერებლად მოიგო — დათა ანთაძესთან (6:0, 6:1) და ლენინგრადელ პაშა ეგოროვთან (ასევე 6:0, 6:1). ფინალისაკენ მიმავალ გზაზე ა. მეტრეველს კიდევ უფრო ძლიერი მეტოქეები ელიან — პირველობაში ასპარეზობენ ისეთი ძლიერი ჩოგბურთელები, როგორებიც არიან გურამ კოსტავა, დათო გოგილაშვილი, გიორგი ტყემალაძე, ლენინგრადელი ვლადიმერ ჩუგუნოვი. სხვათა შორის, ტურნირში (იგი კომერციული ხასიათისაა) ლენინგრადელებისა და მოსკოველების გარდა, მოწვეული იყვნენ კიეველი და მინსკელი სპორტსმენებიც, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ჩამოსვლა.



მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის სასახლიდან (სადაც ბიჭები ასპარეზობდნენ) სანაპიროზე, „დინამოს“ დახურულ კორტზე გადავინაცვლეთ. აქ პირველობისათვის 32 გოგონა იბრძვის. ტურნირს, რომელშიც საპატიო მიზეზის გამო ვერ ასპარეზობდნენ უძლიერესნი: მაკა წიწუაშვილი და ნინო ლუარსაბიშვილი, ახლა, შეიძლება ითქვას, ერთპიროვნული ფავორიტი ჰყავს — თბილისელი ლიკა ქელეხსაევა.

მაყურებელთა შორის ჩვენი ძველი ნაცნობი, წარსულში ცნობილი სპორტული რადიოკომენტატორი, ამჟამად თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ნოდარ ჯაფარიძე ვნახეთ:

— ჩემს შვილიშვილს მაკას ვგულშემატკივრობ. ამ დღეებში სწორედ აქ დინამოელთა ტურნირი მოიგო, ახლა კი ვნახოთ...

მაკამ (იგი 47-ე სკოლაში მერვე კლასში სწავლობს) იმედიანად დაიწყო შეჯიბრება, დამაჯერებლად — 6:2, 6:1 — მოუგო ნატო კარბელაშვილს, მაგრამ მეორე წრეში მეტად დაძაბულ ბრძოლაში წააგო ძლიერ მოსკოველ ჩოგბურთელთან ანა ტარასოვასთან — 3:6, 7:5, 4:6.

ოთარ გოლაძე

სურათზე: კორტზეა 15 წლის ალექსანდრე მეტრეველი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ტურნირები და შედეგები

საპორო. 2 მარტს იაპონიის ამ ქალაქში სტარტს აიღებს ზამთრის მორიგი უნივერსიადა, სტუდენტთა პოპულარული შეჯიბრება, რომელიც ტრადიციულად ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება (1985 წელს იმავე იაპონიის ქალაქ კობეში მოეწყო ზაფხულის უნივერსიადა). ამ კომპლექსური შეჯიბრების პოპულარობაზე მიგვანიშნებს ის, რომ ორი წლის წინანდელი უნივერსიადაში სასპარეზოდ გამოვიდა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა — 33 ქვეყნის 1168 სპორტსმენი. როგორც ორგანიზატორები იუწყებიან, წლეულს ყველაზე ხალხმრავალი გუნდები იაპონიასა და აშშ-ს ეყოლებათ.

როტერდამი. აქ მიმდინარე ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი — 500 ათასი დოლარი) პირველ წრეში ზ. დოსედელმა (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა ა. ლეკონტი (საფრანგეთი) 5:7, 7:5, 7:6, ემილიო სანჩესმა (ესპანეთი) — ლიბორ პიმეკი (ბელგია) 6:3, 6:3, ომარ კამპორეზემ (იტალია) — ერიკ იელენი (გერმანია) 6:2, 6:4, ნიკლას კულტიმ (შვეცია) — კრისტიან საშეანუ (გერმანია) 6:2, 6:4.

პალმ-სპრინგსი (აშშ). „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ამ ტურნირში (საპრიზო ფონდი 350 ათასი დოლარი) მონიკა სელეშმა (იუგოსლავია) დაამარცხა მონიკ ჟაველი (საფრანგეთი) 6:3, 6:1, მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) კი ამანდა კოტცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) 6:2, 6:2.

ლინარესი. მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირის მესამე წრეში ბელიავსკიმ მოუგო ინდოელ ვიშვანატან ანანდის, არტურ იუსუპოვმა კი გატა კამსკის. ბელიავსკი და იუსუპოვი ჯერჯერობით ბრძოლას უდანაკარგოდ განაგრძობენ. მათ 3-3 ქულა აქვთ. გარი კასპაროვმა და იან ტიმანმა (ნიდერლანდები) შეხვედრა ფრედ დაამთავრეს, ანატოლი კარპოვმა კი გადადო ბრძოლა ლიუბომირ ლიუბოევიჩთან (იუგოსლავია), სადაც გამარჯვების შანსებს ინარჩუნებს.

რომი. ხიცილიის გზებზე პროფესიონალთა ველორბოლაში ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერობს ხელთ იგდო იტალიელმა ჯუზეპე პეტიტომ, რომელიც უახლოეს მდევარს, თანაგუნდელ მორენო არჯენტინს ოთხ წამს უგებს.

ტაგანროგი. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ადგილობრივმა „კრასნი კოტელშჩიკმა“ დაამარცხა თბილისის „დინამო“ — 95:89.

საერთაშორისო ჩოგბურთის ამბები

159 კვირა — უძლიერესთა შორის პირველი

ლელა მესხი მეცხრამეტე ადგილზე

ამ ცნობამ ჩოგბურთის ყველა მოყვარული გულწრფელად გაახარა: ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტს დაუბრუნდა 38 წლის ამერიკელი ვეტერანი ჯიმი კონორსი. იგი მონაწილეობს ჩიკაგოს დიდ საერთაშორისო ტურნირში.

კონორსი პროფესიული ჩოგბურთის ჭეშმარიტი ლეგენდაა. თავისი სპორტული კარიერა მან დაიწყო როგორც მსოფლიო კლასიფიკაციით 987-ე მოთამაშემ და მიაღწია იმას, რომ 159 კვირის განმავლობაში (1974-1977 წ.წ.) მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად ითვლებოდა. ახლა ეს უბერებელი სპორტსმენი თავის მეოცე სეზონს იწყებს პროფესიულ ჩოგბურთში.

სტეფან ედბერგი

როგორც ამერიკული პრესა ადასტურებს, იძულებითი „ტაიმ-აუტი“ კონორსს უქმად არ გაუტარებია: იგი უძღვებოდა სატელევიზიო რეპორტაჟებს, ავარჯიშებდა თავის თერთმეტი წლის ვაჟსა და ექვსი წლის გოგონას და, რა თქმა უნდა, ოცნებობდა სპორტში დაბრუნებაზე. ხოლო, როცა ეს შესაძლებელი გახდა, დაიწყო გულმოდგინე ვარჯიში წარსულში ცნობილი ჩოგბურთელების: ჯონ ლოიდისა და მარტი რისენის მეთვალყურეობით.

ჩოგბურთი მიყვარს იმიტომ, რომ იგი მეც და მაყურებელსაც ერთნაირ სიხარულს გვანიჭებს, — ამბობს ჯიმი, — მაგრამ ახლა, ამდენი ხნის შესვენების შემდეგ, რა დავიმალოთ და ვღელავ. თუმცა ჩემი ასაკის კაცს ერთი უპირატესობა აქვს — მარცხის შემთხვევაში არაფერს კარგავს.

ქალთა მსოფლიო ჩოგბურთში კი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ერთ კვირაში შესაძლოა „გადატრიალება“ მოხდეს და გერმანელმა შტეფი გრაფმა „დედოფლის“ გვირგვინი იუგოსლაველ მონიკა სელეშს დაუთმოს. საქმე ისაა, რომ, საერთაშორისო კლასიფიკაციის თანახმად, მათ შორის სხვაობა 0,91 ქულამდე შემცირდა და, არ არის გამორიცხული, რომ პალმ-სპრინგსის (კალიფორნიის შტატი) ტურნირის დამთავრების შემდეგ 17 წლის მონიკა მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი გახდეს (კომენტატორები აღნიშნავენ, რომ სელეში საუკეთესო სპორტსმენი გახდება ნავრატილოვასთან ან ფერნანდესთან წაგების შემთხვევაშიც — მთავარია არ დამარცხდეს გრაფთან).

დღეისათვის მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ათეული გამოიყურება ასე: 1. შტეფი გრაფი (გერმანია), 2. მონიკა სელეში (იუგოსლავია), 3. მარტინა ნავრატილოვა (აშშ), 4. გაბრიელა საბატინი (არგენტინა), 5. მერიჯო ფერნანდესი (აშშ), 6. არანტა სანჩესი (ესპანეთი), 7. კატერინა მალეევა (ბულგარეთი), 8. იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია), 9. ზინა ჰარისონი, 10. ჯენიფერ კაპრიატი (ორივე — აშშ). უძლიერესთა ათეულში ქვეყნები ასე არიან წარმოდგენილი: აშშ — 4 ჩოგბურთელით, გერმანია, იუგოსლავია, არგენტინა, ესპანეთი, ბულგარეთი და ჩეხოსლოვაკია — თითოთითო.

უძლიერესთა ოცეულში კიეველ ნატალია ზვერევას მე-15 ადგილი უკავია, ჩვენი თანამემამულე ლელა მესხი კი მე-19 ადგილზეა.

და კიდევ ერთი ინფორმაცია. ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა ვაჟთა რეიტინგის შედეგებიც: 1. სტეფან ედბერგი (შვეცია), 2. ბორის ბეკერი (გერმანია), 3. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 4. ანდრე აგასი (აშშ), 5. გი ფორჟე (საფრანგეთი), 6. პიტ სამპრასი (აშშ), 7. გორან ივანიშევიჩი (იუგოსლავია), 8. ბრედ ჯილბერტი (აშშ), 9. თომას მუსტერი (ავსტრია), 10. ემილიო სანჩესი (ესპანეთი). უპირატესობა ქვეყნებს შორის აქაც აშშ-ს ეკუთვნის, რომელსაც ათეულში 3 სპორტსმენი ჰყავს. შვიდი ქვეყანა — შვეცია, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, იუგოსლავია, ავსტრია და ესპანეთი სიაში თითო ჩოგბურთელით არიან წარმოდგენილნი.

ოცეულში მოხვდნენ: ანდრეი ჩესნოკოვი (XIII ადგილი), ანდრეი ჩერკასოვი (XV ადგილი) და ალექსანდრე ვოლკოვი (XX ადგილი).



მარტინა ნავრატილოვა

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

პასუხი „ლელოს“

ქმედითობა

„ფოტორეპლიკა“

საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ განიხილა გაზეთ „ლელოს“ 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული „ფოტორეპლიკა“. შენიშვნები სავსებით ობიექტურია და სამართლიანი — ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირზე მართლაც ბევრი ჩოხა დაიხა. ტურნირისთვის ჩოხები შევიძინეთ სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ კოოპერატივ „დინამო“-დან, რომელიც მდებარეობს ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.

კოოპერატივის ხელმძღვანელობა დაგვპირდა, რომ გააუმჯობესებს ჩოხების შეკერვის ტექნოლოგიურ პროცესს და ხარისხს.

ქართული ჭიდაობის რესპუბლიკურ ფედერაციასთან ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია, რომელიც აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე დააწესებს კონტროლს.

ო. შოშიტაშვილი,
ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების დირექტორი.

რედაქციისაგან: გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ კოოპერატორები ასე გულგრილად მოეკიდნენ საქმეს და ისიც, რომ დროულად სპეციალისტებმა არ შეამოწმეს ჩოხების ვარგისიანობა. და კიდევ, საინტერესოა, კოოპერატორებთან ხელშეკრულება უხარისხო პროდუქციისათვის პასუხისმგებლობას თუ ითვალისწინებდა?

გვაახლოვხართ, ჩემპიონებო!

უკანასკნელი „სამიზნე“

ზურაბ მაჩხანელის სპორტულ ცხოვრებაში, სხვაც რომ არ იყოს, გამართლებად ისიც ეყოფა, რომ მისი მონდომების, ნიჭისა და პედაგოგიური ალღოს „ნაყოფნი“ არიან საქართველოს საუკეთესო მესტენდურეები — თამაზ იმნაიშვილი, ტარიელ ჟღენტი, თემურ მატოიანი და გია შენგელია, მაგრამ დღეს ცოტას თუ ახსოვს, რომ ბატონი ზურაბი თავის მოსწავლეებზე არანაკლები ჩუბინი იყო. ორიოდე გაუთვალისწინებელი შემთხვევა რომ არა, იქნებ არც მათზე ნაკლები წარმატებებისათვის მიეღწია, თუმცა წესად არ არის მიღებული ოსტატ-შეგირდთა გამარჯვებების მასშტაბურობის შედარება: მასწავლებელმა ნაკლებ წარმატებებსაც რომ მიაღწიოს, მისგან გადაცემულ ცოდნას ყოველთვის თან ერთვის დიდი გამოცდილება, „ცოდნა“ იმ შეცდომებისა, რომელთაც გზის გადალობვა შეუძლიათ კვარცხლბეკისაკენ და რომელიც მოსწავლეებმა არ უნდა გაიმეორონ. და კიდევ, ზურაბ მაჩხანელს შეუძლია თქვას, რომ მან ყველაფერი შესწირა, ყველაფერი მისცა თავის შეგირდებს. „ხეზე ასვლაც“ ასწავლა მათ და თავისთვის, ვინ იცის, რაში გამომადგებაო, ამგვარი არაფერი დაუტოვებია. ამიტომაც არის რომ, სპორტული კარიერის მანძილზე მოპოვებულ ყველა ტიტულს თავისი აღზრდილის მიერ ერთი დამსახურებული სამიზნე ურჩევნია. სასტენდო სროლაში გაცნობიერებული და საქმეში ჩახედული ხალხი ამიტომაც ამბობს; ზურაბ მაჩხანელმა საქართველოში სასტენდო სროლის მთელი ეპოქა შექმნაო...

● **ბატონო ზურაბ, თქვენ არაერთი საკავშირო და საერთაშორისო რეკორდი, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებათა გამარჯვებულის ტიტული გეკუთვნით...**

— ჩემი ტიტულებისა და რეკორდების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთს მაინც გავიხსენებ: ერთხელ კიევში ტარდებოდა საკავშირო პირველობა. ჩვენი რესპუბლიკიდან მე და ბორის ანტონოვი ვასპარეზობდით. არსებული საკავშირო რეკორდი სერგეი კალინინს ეკუთვნოდა — 200-დან 189 ზუსტი გასროლა. სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი იყო ჩემთვის პირველი დღის შედეგი: 100-დან — 98. საკავშირო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბურდენკომ, მახსოვს, ჩემთან ერთად დარეკა მოსკოვში, სროლის ფედერაციაში და უთხრა ახალი საკავშირო რეკორდი მყარდებაო. 100 სროლა კიდევ მქონდა დარჩენილი, მეორე დღესაც 98 სამიზნე დავაზიანე და 7 ქულით გავაუმჯობესე ადრინდელი რეკორდი. ბურდენკო კვლავ ტელეფონისკენ გაიქცა და აცნობა მოსკოველ კოლეგებს: მაჩხანელი მგონი ჭკუიდან შეიშალაო. საერთოდ კი 8 საკავშირო რეკორდი მეკუთვნის.

● **ძველ მესტენდურეებს დღესაც ახსოვთ ერთი ამბავი: ერთ-ერთი შეჯიბრებისას თქვენ და სერგეი კალინინი, რომელიც იმ მომენტში თქვენი უმთავრესი მეტოქე იყო, ერთი ყუთიდან იღებდით ვაზნებს და ისე ისროდით. ეს იშვიათი შემთხვევაა...**

— ეს მართლაც ასე იყო: პოლონეთში, დიდ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად ითვლებოდა, მე და კალინინი მართლაც ერთი ყუთიდან ვიღებდით ვაზნებს. ამას კი თავისი მიზეზი ჰქონდა:

მანამდე ლენინგრადში საკავშირო პირველობაზე გამოვედი და პირველი დღის შემდეგ ლიდერთა ჯგუფს მოვექეცი სათავეში. საქართველოს ნაკრების წევრები, რომლებიც ცალკე სასტუმროში ვცხოვრობდით, დასასვენებლად წავედით. მეორე დღეს, როგორც გაგვაფრთხილეს, 9 საათზე გამოვცხადდით შეჯიბრებაზე, მაგრამ რას ვხედავთ: მოასპარეზენი უკვე მეორე სერიას ისროდნენ: თურმე 8 საათზე დაუწყიათ ასპარეზობა. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებმა — დავით ცაგარეიშვილმა და ლევან ციციშვილმა, ყველაფერი იღონეს, რათა შეჯიბრებაზე დავეშვით. მართლაც მომცეს სროლის უფლება და პირველი ადგილიც დავიკავე, მეორე ადგილზე კალინინი გავიდა. მაგრამ ვინ მაღირსა ოქროს მედალი: შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამომიცხადეს, შენ მხოლოდ უკონკურსოდ დაგიშვით ასპარეზობაზე, ამიტომ ოქროს მედალი კალინინს ეკუთვნისო. მოკლედ, ყველაფერი გააკეთეს, რომ არ გამემარჯვა. პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალზე, როცა გამარჯვებულის — კალინინის გვარი გამოაცხადეს, არავინ გამოცხადდა მსაჯთა მაგიდასთან; ხელახლა გაიმეორეს გვარი, არც აქ შეუნაცვლებია ფეხი კალინინს; მესამედ რომ გამოაცხადეს მისი გვარი, კალინინი გამოგვეყო, წინ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და განუცხადა მსაჯებს: ჩემპიონობა მე კი არა, აი, ამას ეკუთვნისო და ჩემკენ ანიშნა. მაგრამ მის რაინდულ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. იგი ჯარისკაცი იყო, არმიის სპორტული კლუბის წევრი. ამ დროს სამხრეებიან ოფიცრებს გამოეყო ერთი პოლკოვნიკი და წინ გაეჭიმა კალინინს: რიგითო კალინინო, გიბრძანებთ კვარცხლბეკზე ახვიდეთ და თქვენი კუთვნილი საფეხური დაიკავოთო! რაღა უნდა ექნა კალინინს — ჯარისკაცი იყო და უფროსის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა.

● **ეს მართლაც იშვიათი და დასაფასებელი საქციელია, მაგრამ ალბათ, არც საწინააღმდეგო შემთხვევები იყო იშვიათი...**

— ამგვარ შემთხვევას თითქმის ყველა ქართველი სპორტსმენი გაიხსენებს. მეც, რასაკვირველია. 1955 წელს იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე გავემგზავრე. წინასწარ ვიცოდი, ძირითად გუნდში უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, გამიმტყუნდა იმედი — მოგილევსკი დააყენეს ჩემს ადგილზე. რა მექნა, შევეგუე სათადარიგო მსროლელის როლს, თუმცა კონკურსგარეშე მონაწილეობის უფლება მაინც მომეცა. ვისროლეთ, მე — კონკურსგარეშე, გუნდმა — კონკურსში და იტალიის ნაკრების, ამ ყოველთვის სტაბილური გუნდის შემდეგ, ჩვენი ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. აქვე გეტყვით, რომ ძირითად სერიებში საბჭოთა კავშირისა და იტალიის გუნდებმა თანაბარი რაოდენობის ქულები დააგროვეს; დამატებით სერიებში კი სწორედ მოგილევსკის არაზუსტმა სროლებმა „გადაწყვიტა“ პირველი ადგილის ბედი. რაღას ვიზამდით, მარცხს უნდა შევგუებოდით, ოღონდ ეგ იყო, გასახდელში ერთმა ჩვენმა თანაგუნდელმა წამოიძახა: მაჩხანელის მიერ უკონკურსოდ დაგროვებული ქულები რომ ჩაგვთვლოდა მოგილევსკის მიერ მოპოვებული ქულების ნაცვლად, იტალიელებს 4 ქულას მოვუგებდითო. დიახ, მოგილევსკის 4 ქულით ვაჯობე, მაგრამ საქმეს რაღა ეშველებოდა. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობას დავჯერდით.

● **ყველა სპორტსმენისთვის დასამახსოვრებელია მისი პირველი ნაბიჯები დიდ სპორტში, მით უმეტეს, მსროლელისთვის. ერთმა გასროლამ შესაძლოა, წარმოუდგენელი დიდებაც მოგიტანოს და ამგვარივე დაცემაც...**

— ჩემთვის ძნელია, ზღვარის გადება სამოყვარულო და დიდ სპორტს შორის, რადგან ყოველთვის ერთნაირი ჟინით, ენთუზიაზმითა და მიზნით გამოვდიოდი შეჯიბრებაზე — ყველა ნასროლი ტყვია მოხვედროდა სამიზნეს. მაგრამ მაინც მინდა გამოვყო პირველი საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც მე ვიასპარეზე: იგი ლვოვში ჩატარდა და მაშინ საკავშირო ნაკრების წევრობის კანდიდატად ვითვლებოდი. ამ დროს სასტენდო სროლა უკვე დაყოფილი იყო სახეობებად. მე ადგილიდან ვისროდი. გუნდი ჯერ არ იყო დაკომპლექტებული, ისე კი, ვიცოდით, 6 კაცს უნდა ესასპარეზა შეჯიბრებაში. თორმეტნი ვიყავით ლვოვში შეკრებაზე, ესე იგი, აქედან ექვსი ზედმეტი იყო. პირველი გუნდის პირველ ექვსეულში მოხვედრაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი; აი, მეორე გუნდში ბოლოდან მეორე, ესე იგი მეხუთე რომ ვყოფილიყავი, ეს იყო ჩემი ოცნება. შეჯიბრების დაწყების წინადღეს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ანატოლი ბურდენკომ დაასახელა ორივე გუნდის შემადგენლობა. ჯერ პირველი გუნდით დაიწყო. პირველ ნომრად, სხვათა შორის, სრულიად დამსახურებულად, საკუთარი ძმა, ნიკოლოზ ბურდენკო მოიხსენია. შემდეგ მოჰყვა: მეორე — ისაევი, მესამე — ნიკანდროვი. მეოთხე — მაჩხანელი...? ყურებს არ დავუჯერე, ვერც არდაჯერებულის დაზუსტება გავბედე და გავჩუმდი. როცა ბურდენკომ პირველი გუნდის წევრები ბოლომდე ჩამოთვალა, მეორე გუნდის შემადგენლობაც გაგვაცნო და მათ შორის ჩემი გვარი რომ ვერ გავიგე, მივხვდი — არ გამოვრჩენილვარ, არც არაფერი შემშლია და მართლა პირველ გუნდში შემიყვანეს-მეთქი.

...შეჯიბრების წინა დღეს არ დამიძინია, ძალიან ვღელავდი. ამიტომაც იყო, პირველ დღეს, პირველსავე სერიაზე 25 თეფშიდან 21 დავაზიანე, ვარჯიშზეც კი არ მისროლია ასე ცუდად. ნერვიულობისა და დაძაბულობისგან სამიზნეებს ველარ ვხედავდი. ამ ჩემთვის უჩვეულო და შეურაცხმყოფელმა შედეგმა ძლიერ იმოქმედა ჩემზე. სასროლეთის გვერდით ტყე იყო, ისიც ვიფიქრე, წავალ, თავს მოვიკლავ-მეთქი, მაგრამ ანატოლი ბურდენკო, ეს მართლაც შეუცდომელი პედაგოგი, მომიახლოვდა და იმის ნაცვლად, რომ გაველანძღე და დავეტუქსე, რასაც კიდეც მოველოდი, მეგობრულად გადამხვია მხარზე ხელი და მშვიდად მითხრა: რა მოგდის, ნუ გეშინია, შენ ხომ ქართველი ხარ, მამაპაპეულ ქონებას ხომ არ აგებ, დამშვიდდი და შენი წინაპრები რომ ბრძოლის დროს მტერს ესროდნენ, ისე ისროლეო. საოცრად იმოქმედა ამ სიტყვებმა ჩემზე. მართლაც დავმშვიდდი და იმ დღეს დარჩენილ სამ 25-იან სერიაში ერთიც არ ამიცდენია. მეორე დღესაც წარმატებით ვისროლე: პირადში მეორე ადგილი დავიკავე, მხოლოდ ნიკოლოზ ბურდენკომ მაჯობა; საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად კი პირველი ადგილი მოვიპოვე.

● **ბატონო ზურაბ, ყველა სპორტსმენი სხვადასხვაგვარად ხვდება სპორტში...**

— მამაჩემი, გიორგი მაჩხანელი, ცნობილი მონადირე იყო. ჰარმაგ მცხეთელებს დღესაც კარგად ახსოვთ ჩუბინი „ფანტია“, რომელიც ფრინველს და ცხოველს არ გაუშვებდა ცოცხალს, თოფს თუ აიღებდა ხელში. მამის მსგავსად, მეც მიყვარდა ნადირობა. ერთხელაც, ომიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, წეროვნის მინდორში გავინადირე მწყრებზე. კარგად მახსოვს, 12 ოქტომბერი იყო. საღამომდე ვინადირე — 156 მწყერი მოვკალი. მომაქვს ნანადირევი, ძლივს მოვდივარ და იმის ფიქრში ვარ, როგორმე სახლამდე მივაღწიო. ამ დროს, მოულოდნელად, ყანიდან გამოვედი თუ არა, გზის პირას „პობედა“ გაჩერდა. მძღოლის გვერდით სუფთად, ლამაზად ჩაცმული სიმპათიური კაცი იჯდა. ეტყობოდა, უბრალო ვინმე არ იყო, „დიდ კაცს“ ჰგავდა. სად დახოცე ამდენი მწყერიო — მკითხა. მე ყანის სიღრმისკენ გავიშვირე ხელი. ბარაქალაო, მომაძახა, მთელი დღე აქა ვარ და 8 ცალზე მეტი ვერ მოვკალიო. ბოლოს მანქანის კარი გამოაღო, დაჯექი, თბილისამდე ჩაგიყვანო. ამ დროს უკვე თბილისში ვცხოვრობდი, სტუდენტი ვიყავი. მართლაც დავემგზავრე ამ ღვთისნიერ ადამიანს. გზაში გამომეცნაურა, თან მკითხა, სტენდი იცი რა არისო? როგორ არ ვიცი, მაგის მეტი რა მინახავს-მეთქი — ვუპასუხე: მე ფოტოსტენდს ვგულისხმობდი. შემდეგ გაირკვა, რა სტენდზეც იყო საუბარი. ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე ჩამოვედი მანქანიდან. გამომშვიდობებისას დამიბარა — კვირას ვაკეში რომ სასროლეთია, იქ მიდი, უთხარი, კონდრატე ბიძიამ გამომგზავნა და, რამდენსაც გინდა, იმდენს გასროლინებენო. მივალ-მეთქი, დავპირდი. ეს კაცი თურმე კონდრატე ციმაკურიძე ყოფილა — მაშინდელი ფინანსთა მინისტრი და მონკავშირის თავმჯდომარე.

გათენდა კვირა დღეც. სიმართლე გითხრათ, ისევ სანადიროდ წასვლა მერჩია, მაგრამ სიტყვა მქონდა მიცემული მამისტოლა კაცისთვის და უხერხული იყო წაუსვლელობა. ათ საათზე უკვე სასროლეთზე ვიყავი. თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, ვერ ვხვდებოდი, რას ესროდნენ; თეფშები მოგვიანებით შევნიშნე. ორ საათს ვიჯექი და ვუყურებდი. უცებ მსროლელებში ჩოჩქოლი ატყდა, უფროსი მოვიდაო. მართლაც გამოჩნდა ჩემი „მასპინძელი“ — კონდრატე ციმაკურიძე. შემამჩნია და მაშინვე ჩემკენ გამოემართა. რა ქენი ზურიკო, ისროლეო, მკითხა. უარის ნიშნად თავი გავიქნიე. რატომ მოგერიდაო, მითხრა და თან განკარგულება გასცა: სტუმარს თოფი მოუტანეთო. მომიტანეს თოფი. ბატონმა კონდრატემ ცეცხლის ხაზისკენ მიბიძგა და თან ომახიანად შემოსძახა; „მე ახლა წარმოგიდგენთ მომავალ ჩემპიონს!“ ზოგიერთს, იქ მყოფს, ირონიულად ჩაეღიმა, არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან თოფი ვერ მოვირგე, ადგილიდან სროლას არ ვიყავი დაჩვეული. როგორც ნადირობისას, ვივლი და ისე ვისვრი-მეთქი, განვუცხადე. ყველას გაეცინა, ალბათ, იფიქრეს, ეს ხეპრე საიდან მოიყვანესო. ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე, „ჩვეული წესით“ ვისროლე და 20-დან 18 თეფში გავტეხე. მოეწონათ მწვრთნელებს ჩემი პირველი შედეგი და მონკავშირის კინოლოგს, დიდებულ ადამიანს, ლევან ციციშვილს ჩააბარეს ჩემი თავი; სასტენდო სროლას რესპუბლიკაში ის განაგებდა, ძველი კავალერისტი იყო.



დავიწყე ვარჯიში, მაგრამ მალე ხელი გამიფუჭდა — თითო ვარჯიშზე 3-4 სამიზნეზე მეტს ველარ ვაზიანებდი. ეს შეამჩნია ვლადიმერ ჯაბახიძემ, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა, რომელიც მწვრთნელად მუშაობდა და მითხრა, შვილო, დროს ტყუილად ნუ კარგავ, შენგან მაინც არაფერი გამოვა, წადი მწყრები ხოცეო. მართლაც წამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ ეზოში ბატონი ლევანი შემხვდა, დამაბრუნა, მომცა თოფი და მთელი დღე არ მომცილებია. შემიძლია ვთქვა, რამდენიმე საათში სასტენდო სროლის ყველა საიდუმლო გამაცნო და საქმეც აეწყო. რამდენიმე დღეში მონკავშირის საქალაქო პირველობაზე მესამე ადგილი დავიკავე, მალე საქართველოს ჩემპიონატიც მოვიგე და რესპუბლიკის ნაკრებშიც მოვხვდი. დავოჯახდი, ქორწილში მეგობრებმა „აზიმსონი“ მიყიდეს (მანამდე ლევან ციციშვილის თოფით ვისროდი) და აქედან დაიწყო...

სხვათა შორის, ერთი წლის შემდეგ, ერთ წელიწადში 5-ჯერ შევასრულე სპორტის ოსტატობის ნორმატივი, მაგრამ წოდება არ მომანიჭეს — ასე მალე როგორ შეიძლება ახალბედა სპორტის ოსტატი გახდესო. მაგრამ როდემდე მალოდინებდნენ... ახლა საერთაშორისო კლასის ოსტატი ვარ.

● **მელბურნის ოლიმპიადის წინ საკავშირო ნაკრების წევრი იყავით და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ოლიმპიადაზე გაემგზავრებოდით. მაგრამ გუნდმა იქ უთქვენოდ იასპარეზა.**

— ეჭვი არც მე მეპარებოდა — თითქმის განაღდებული მქონდა გუნდში ადგილი და ვემზადებოდი ტაშკენტში წასასვლელად, სადაც წინასაოლიმპიადო შეკრება უნდა გაგვევლო. გამგზავრების წინადღეს მუცელი ამტკივდა. ოჯახის წევრებმა საავადმყოფოში გამაქანეს. აპენდიციტის შეტევა — ასეთი იყო დიაგნოზი. სასწრაფოდ ქირურგიული ჩარევა იყო საჭირო. უარზე ვიდექი, ხვალ შეკრებაზე მივდივარ-მეთქი. ნუ გეშინია, ერთ კვირაში ფეხზე დადგები და დაეწევი თანაგუნდელებსო, დამამშვიდეს ექიმებმა. ვენდე. როგორც შემდეგ გავიგე, გამიკეთეს ურთულესი ოპერაცია. 40 დღე დავყავი საავადმყოფოში და უჩემოდ ჩაიარა ოლიმპიადამ.

● **ბატონო ზურაბ, თქვენ 1964 წლიდან მუშაობთ მწვრთნელად და ის, რაც თქვენ მიუღწეველი დაგრჩათ, თქვენმა აღზრდილებმა განახორციელეს.**

— კარგი ქენით, რომ არ დაამატეთ — თქვენს წარმატება-წარუმატებლობას უფრო განიცდიდით, თუ თქვენი შეგირდებისასო. მწვრთნელობა ურთულესი საქმეა, სამაგიეროდ, ათმაგად გიხარია, როცა შენი მოსწავლე სულ მცირე წარმატებას მაინც მიაღწევს. ჩემი განუხორციელებელი ოცნებები მართლაც ამისრულეს ჩემმა ბიჭებმა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტარიელ ჟღენტი ევროპის ორგზის ჩემპიონია, გუნდურში — მსოფლიოს ჩემპიონი; თამაზ იმნაიშვილმა კი პირად-გუნდურში მოიპოვა ეს წოდება. თუმცა თამაზის წარუმატებელმა გამოსვლამ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე დიდად იმოქმედა ჩემზე და ინფარქტი დამმართა. პირველ ადგილზე გადიოდა, ბოლოს კი „დუპლეტი“ ააცილა და პრიზიორებშიც ვერ მოხვდა. ეს ყველაზე საშინელი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ მჯერა — თამაზი მაინც მიაღწევს დასახულ მიზანს — ოლიმპიურ მედალსაც „გაუსინჯავს გემოს“.

● **თითო-ოროლა მაღალი კლასის მსროლელის იმედად ყოფნა არ გვეგება. საჭიროა სასტენდო სროლა უფრო მომძლავრდეს ჩვენში. რა კეთდება ამისთვის რესპუბლიკაში?**

— სიმართლეს გეტყვით: საქმე უამრავია, კეთდება კი მხოლოდ მცირე ნაწილი ამ საქმისა. რაც მთავარია, არ არის საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი ბაზები; ჩვენში, როგორც სპორტის არაერთ სახეობაში, სასტენდო სროლასაც არაპროფესიონალი, საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ხალხი განაგებს. მართალია, ნაწილი მაღალ სპორტულ წოდებებსაც ფლობს, მაგრამ მათი პრაქტიკული საქმიანობის შედეგი ნულის ტოლია. ამიტომ, უპირველესად, მოყვარულები უნდა ჩამოვაცილოთ სასტენდო სროლას და მათ გადავცეთ მართვის სათავეები, რომელნიც კარგად იცნობენ სპორტის ამ სახეობას, მართლა მთელი გულით და სულით მოემსახურებიან მას. მაშინ არც გადაუჭრელი პრობლემები გვექნება, არც ბაზებისა და ინვენტარის ნაკლებობას და უხარისხობას დავიჩივლებთ.

ერთ მაგალითს მოვიყვან: ავჭალაში, ზაჰესთან, სასროლეთს ვაშენებდით. მარტო სასროლეთი არ იქნებოდა იქ — აუზი, ჩოგბურთის კორტები, სატრენაჟორო დარბაზი, მოკლედ, მთელი კომპლექსი. მუშაობა დაიწყო, საძირკველი ჩაყრილი იყო, როცა ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა ყოფილმა პირველმა მდივანმა შეაჩერა, შემდეგ აკრძალა მშენებლობა: ლენინის ძეგლის მახლობლად სროლა როგორ შეიძლებაო. რა იცოდა, რომ სწორედ ლენინის ძეგლთან, რაც ახლოს იქნებოდა სროლა, მით უკეთესი. ეს ხუმრობით და, ძეგლს რას დაუშავებდნენ მოვარჯიშენი? რა თქმა უნდა — არაფერს. მაგრამ უბედურება ისაა, პატრონი არ გამოგვიჩნდა, რომ პირველი კაცისთვის აეხსნათ ეს და ამდენი შრომა წყალში არ ჩაგვყროდა.

● **დაბოლოს, ბატონო ზურაბ, თქვენ ოთხი შვილისა და ამდენივე შვილიშვილის პატრონი ბრძანდებით. ნუთუ მათგან არც ერთს არ გაუჩნდა სურვილი, თქვენს კვალს რომ გაჰყოლოდა?**

— რაც შეეხება შვილებს, ოთხიდან სამი გოგოა და სასტენდო სროლისთვის არ გამოდგებოდნენ. აი, ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილი გია კი სპორტის ოსტატია სწორედ „ჩემს სახეობაში“. ძალზე ნიჭიერი ბიჭი იყო, მაგრამ რატომღაც არ მიჰყვა სროლას ბოლომდე. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე სენიჩევმა თბილისში ნახა გია ვარჯიშზე, მოვიდა ჩემთან და მეუბნება: წამოდი, პატარა მაჩხანელი უნდა განახო. მივედი და გია ისროდა: ზუსტად ჩემნაირი დგომით, თოფის დაჭერის მანერა, მოძრაობები, მიხვრა-მოხვრა... სენიჩევმა, თურმე არ იცოდა, რომ ჩემი შვილი იყო, ისე მიმამსგავსა.

შვილიშვილები პატარები არიან. ერთი მათგანი წამოიზარდა, 12 წლის რომ გახდა თოფი ვაჩუქე. ვნახოთ, მგონი, ალღომ არ უნდა მიმტყუნოს.

ესაუბრა ლევან ჯავახიშვილი

„ოდიში“— აღმავლობის გზით

შარშანდელ საფეხბურთო სეზონში ზუგდიდის „ოდიშის“ მთავარ მწვრთნელს ოთარ გაბელიას არაერთხელ უთქვამს, რომ მისი გუნდის მიზანია ითამაშოს ლამაზი, კომბინაციური და შემტევი ფეხბურთი; მთავარი ისაა, მაყურებელი დარჩეს კმაყოფილი. ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარი, ალბათ, დაგვეთანხმება — შეგირდებმა შეასრულეს მწვრთნელის დავალება.

ახლა ზუგდიდის „ოდიში“ რესპუბლიკის სხვა გუნდებთან ერთად მომავალი საფეხბურთო სეზონისთვის ემზადება. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა გუნდის უფროს მწვრთნელს ოთარ გაბელიას და გაითვალისწინა რა გულშემატკივართა ინტერესი, რამდენიმე კითხვით მიმართა მას:

● **ბატონო ოთარ, სადაცაა დაიწყება ახალი საფეხბურთო სეზონი. როგორ მოემზადა გუნდი ახალი საფეხბურთო მარათონისათვის?**

— გუნდი 8 იანვარს შეიკრიბა, სამდღიანი სამედიცინო შემოწმების შემდეგ შევუდექით ვარჯიშს. 18 იანვარს, დაბა ლესელიძეში, გავემგზავრეთ ორკვირიან შეკრებაზე, სადაც ინტენსიურად, დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით. იქ შექმნილი პირობების და, საერთოდ, გუნდის მომზადების დონით კმაყოფილნი ვართ. სეზონისთვის მზადებას ხელი შეუწყო საკონტროლო თამაშებმაც — ჩამოყალიბდა და დაკომპლექტდა გუნდის შემადგენლობა.

● **ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ გუნდში მომხდარი ცვლილებებიც...**

— გუნდი დატოვეს ჭაჭუამ და მაქაცარიამ, სამაგიეროდ, შევსება მივიღეთ: თბილისის „იბერიიდან“ ყიზილაშვილმა და შონიამ გამოთქვეს „ოდიშში“ თამაშის სურვილი; გორის „დილადან“ ქობესოვი მოვიწვიეთ; წალენჯიხის „სქურიდან“ შემოგვემატა კვარაცხელია, მივიღეთ, აგრეთვე, ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი ნაჭყებია. ვფიქრობ, ეს კარგი შევსებაა ჩვენი გუნდისთვის. ცვლილებებია კლუბშიც — ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი მურმან ნარმანია, როგორც იცით, იმისათვის, რომ გუნდმა სტაბილურად ითამაშოს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ სიჯანსაღეს. მოხარული ვარ, რომ გუნდში იმუშავებს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი — ექიმი გაბისონია და მასაჟისტი ბოჭუა.

● **ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირა დარჩა. როგორ გამოიყენებს დროის ამ მცირე მონაკვეთს გუნდი?**

— მზადების დასკვნით ეტაპს კვლავ დაბა ლესელიძეში გავივლით, შემადგენლობის ოპტიმალურ ვარიანტსა და ცალკეული რგოლების შეთამაშებაზე ვიზრუნებთ.

● **თქვენი მიზანი მომავალ საფეხბურთო სეზონში?**

— ჩვენი მთავარი ამოცანა კვლავ გულშემატკივრისთვის სიამოვნების მინიჭება და ლამაზი ფეხბურთის თამაშია, თუმცა შედეგის გაუმჯობესებაზეც ვიზრუნებთ; გუნდს გააჩნია საამისო პოტენციური შესაძლებლობა. ამის თქმის უფლებას განვლილი მოსამზადებელი პერიოდი, გუნდის გაძლიერებული შემადგენლობა და ზუგდიდელი გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედი მაძლევს.

ესაუბრა რომან გაბისონია.

მკითხველი „ვარსკვლავს“ ესაუბრება

უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ პრაღის პოპულარულ ჟურნალ „გოლთან“ არსებობს დაუსწრებელი „გულშემატკივართა კლუბი“. ეს გულშემატკივრები შეკითხვებს უგზავნიან რომელიმე გამოჩენილ სპორტსმენს (ფეხბურთელს ან ჰოკეისტს). რედაქცია აგროვებს ამ შეკითხვებს, აცნობს ადრესატს, შემდეგ კი აქვეყნებს მის პასუხებს.

და აი, ჟურნალის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდა ვრცელი კითხვა-პასუხი, ამჯერად ყურადღების ცენტრშია მიშელ პლატინი, რომელიც კვლავ საკმაოდ პოპულარული გახდა, ამჯერად, როგორც საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი.

დღეს გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ მასალიდან. აქვე გვინდა ზოგი მომენტი გაგახსენოთ ამ გამოჩენილი ფეხბურთელის სპორტული ბიოგრაფიიდან.

მიშელ პლატინი (დაიბადა 1955 წლის 25 აპრილს). 1972-76 წლებში საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „ნანსიში“ თამაშობდა, რომლის შემადგენლობაშიც ქვეყნის თასს დაეუფლა. 1978-82 წლებში „სენტ-ეტიენის“ შემადგენლობაში გამოდიოდა და საფრანგეთის ჩემპიონიც გახდა. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია იტალიაში გადასვლის შემდეგ, ტურინის „იუვენტუსის“ შემადგენლობაში (1983-87). ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი. ფლობდა ჩემპიონთა თასს, სუპერთასს. სამჯერ იყო იტალიის ლიგის უპირველესი სნაიპერი: 1983 წელს (18 ბურთი), 1984 წ. (20) და 1985 წ. (18). წლების განმავლობაში იყო საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელი. 1984 წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, 1986 წლის მსოფლიო პირველობაზე — ბრინჯაოს მედალი. უფრო ადრე, 1982 წლის მსოფლიო პირველობაზე, საფრანგეთის ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა. ზედიზედ სამჯერ, 1983-85 წლებში, აღიარეს ევროპის № 1 ფეხბურთელად და გადაეცა „ოქროს ბურთი“. წლების განმავლობაში იყო საფრანგეთის № 1 ფეხბურთელი.

მაშ ასე, გულშემატკივრები ესაუბრებიან მიშელ პლატინს.

● **რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე მსოფლიოს უკანასკნელმა ჩემპიონატმა იტალიაში?**

— კაცი ძალიან ჯიუტი და არაობიექტური უნდა იყოს, რომ არ აღიაროს: ჩემპიონატში ნამდვილად უძლიერესმა გუნდმა გაიმარჯვა. დიდი სიმპათია დაიმსახურეს კამერუნელებმაც. ისე, თუკი დიდი ტალანტების დაწინაურების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ ჩემპიონატს ნამდვილად არ გავუკვირვებივართ. ზოგმა ცნობილმა ოსტატმა დაამტკიცა თავისი კლასი — ის თამაში გვიჩვენა, რომელსაც ველოდით კიდეც.

● **მიგაჩნიათ თუ არა 1984 წელი თქვენი საფეხბურთო კარიერის მწვერვალად?**

— დიახ, ევროპის 1984 წლის ჩემპიონატი მართლაც სამუდამო გასახსენებლად მრჩება. მაშინ მართლაც ყველაფერი გამომდიოდა და ოცნებაც განმიხორციელდა. ეს იყო საერთაშორისო ასპარეზზე ფრანგი ფეხბურთელების ყველაზე დიდი მიღწევა, რაც, რა თქმა უნდა, ბევრი ფეხბურთელის დამსახურება გახლდათ. ის წელი ჩვენთვის მართლაც ძალიან იღბლიანი გახლდათ, ლოს-ანჯელესში ოლიმპიური ჩემპიონებიც გავხდით.

● **ორჯერ შეხვდა საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო პირველობის ნახევარფინალში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს და ორჯერვე დამარცხდა.**

— თუ კლუბებისა და ნაკრებების მატჩების შედეგებით ვიმსჯელებთ, გერმანული ფეხბურთი ჩვენზე მაღლა დგას. თუმცა, ისიც ვთქვათ, რომ იმ ორ შეხვედრაში ეს უპირატესობა აშკარა სულაც არ იყო. 1982 წელს სევილიაში ნამდვილად უკეთ ვთამაშობდით, ორი ბურთით ვიყავით წინ, მაგრამ საბოლოოდ მაინც დავმარცხდით. წარმოუდგენელი რამ მოხდა. ოთხი წლის შემდეგ, გვადალახარაში ბედმა ისევ ზურგი გვაქცია. სხვანაირად, ამ მატჩების შედეგების ახსნა შეუძლებელია.

● **ვინ იყო თქვენთვის საუკეთესო პარტნიორი?**

— ცალკეულ სახელებზე ნუ შევჩერდებით. ამას სჯობს ვთქვათ, რომ, როგორც საფრანგეთში, ისე იტალიაშიც, შესანიშნავი პარტნიორები მყავდა. ყველა, თუნდაც მეტად ნიჭიერი ფეხბურთელი, ასე თუ ისე, იმათზეა დამოკიდებული, ვინც მის გვერდით თამაშობს.

მიშელ პლატინი

● **1976 წელს პირველად ითამაშეთ ნაკრებში ჩეხოსლოვაკიის გუნდის წინააღმდეგ. რას გვეტყვით ამ მატჩზე?**

— პირველი მატჩი ნაკრებში სამუდამოდ გამახსოვრდება. ჩეხოსლოვაკიელებს შესანიშნავი მეკარე ჰყავდათ — ივო ვიქტორი. მომეწონა კაროლ დობიაშის თამაშიც. მეტოქის კარიდან დაახლოებით 20 მეტრით ვიყავი დაშორებული, როცა ბურთს ანრი მიშელი (ნაკრების მომავალი მწვრთნელი) ფლობდა. მას დავუძახე, მომაწოდე ბურთი, აუცილებლად გავიტან-მეთქი, და გავიტანე კიდეც.

● **რა გააკეთეს საფრანგეთის ნაკრებში თქვენმა წინამორბედებმა: კოვაჩმა, იდალგომ და მიშელმა?**

— თითოეულმა თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ნაკრების გაძლიერებაში: სტეფან კოვაჩმა შეაკავშირა ფეხბურთელები: — ძალების რწმენა, გარკვეული ამბიცია ჩაუნერგა მათ. იდალგომ ძალზე კარგად გააგრძელა მისი საქმიანობა, და მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატში წარმატება მოიპოვა; ხოლო ორი წლის შემდეგ ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა. იდალგომ ანრი მიშელს მზამზარეული გუნდი გადაულოცა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. შემდეგ მიშელი მძიმე ამოცანის წინაშე დადგა — მას ახალი ნაკრები უნდა შეექმნა. არ ვიცი, ვინ იმუშავებდა იმ პირობებში მასზე უკეთ.

● **შეგიძლიათ თუ არა, ახლანდელი თაობის ფეხბურთელებით გაიმეოროთ ის წარმატებები, თქვენმა თაობამ რომ მიაღწია?**

— მე ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. ნაკრების ახლანდელ მოთამაშეებს ჯერჯერობით არა აქვთ სათანადო კლასი და გამოცდილება, და, გასაგებია, არც რაიმე სახელი. მაგრამ ისინი გამოცდილებასაც შეიძენენ და პოპულარობასაც მოიპოვებენ. საქმე ძალიან კარგად იცის. ჩვენი მთავარი მიზანი გახლავთ 1992 წლის ევროპის პირველობაში და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ ორ ასპარეზობაში ღირსეულად ვითამაშოთ.

● **თქვენ ოცდათორმეტი წლის ასაკში დაასრულეთ საფეხბურთო კარიერა. ცოტა ადრე ხომ არ მოგივიდათ?**

— ზუსტად არავის დაუდგენია, როდის უნდა დაამთავროს პროფესიონალმა ფეხბურთელმა თავისი კარიერა. ყველაფერი კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. მე ვფიქრობ, დროულად და სწორად მოვიქეცი.

● **გავიგეთ, რომ, ისევე როგორც მამათქვენი, თქვენც კლუბ „ნანსის“ ერთ-ერთი ფუნქციონერი გახდებით.**

— მამაჩემი, ალდო პლატინი, მართლაც იყო სპორტული მოღვაწე „ნანსში“, მე კი ამ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვარ.

● **თქვენ სპორტული ნაწარმის ფირმის მფლობელიც ხართ. გაქვთ თუ არა საამისო დრო?**

— საფრანგეთის ნაკრები წელიწადში ექვს ან შვიდ მატჩს ატარებს. ნაკრების მომზადების გარდა, მწვრთნელი ვალდებულია დაესწროს საფრანგეთის ჩემპიონატის მნიშვნელოვან შეხვედრებს, იმოგზაუროს საზღვარგარეთ და თვალყური ადევნოს სხვადასხვა ნაკრებების თამაშს. რაც დრო მრჩება, შემიძლია სხვა საქმისთვის გამოვიყენო.

● **რომელი მწვრთნელისგან ხართ დავალებული უფრო მეტად?**

— მიშელ იდალგოსგან, რომლის ხელმძღვანელობითაც ვთამაშობდი საფრანგეთის ნაკრებში 1976-1984 წლებში.

● **„იუვენტუსმა“ ერთხელ, 1985 წელს, მოიპოვა ჩემპიონთა თასი ბრიუსელში „ლივერპულის“ დამარცხების შემდეგ. რამეს ხომ არ გაიხსენებდით ამ მატჩის შესახებ?**

— ასეთი ტრაგედიის დავიწყება საერთოდ შეუძლებელია. იმ მომენტში არც კი ვიცოდით, რა ხდებოდა. შემდეგ სპეციალური ფილმიც ვნახეთ, ყველაფერი სამუდამოდ დაგვამახსოვრდა...

● **თქვენ საკმაოდ პოპულარული ხართ...**

— ვერ გეტყვით, რომ ამ პოპულარობას ჩემთვის მაინცდამაინც ბედნიერება მოაქვს. ხანდახან ეს ისტერიაში გადადის. ის კი მიხარია, როცა ქუჩაში მცნობენ და ავტოგრაფს მთხოვენ..

● **რას იტყვით ჟურნალისტების შესახებ?**

— ჟურნალისტები თავის საქმეს აკეთებენ, ჩვენ — ჩვენსას. მათ ყველაფრის ცოდნა სურთ, 24 საათის განმავლობაში ჩვენთან ყოფნა უნდათ. გასაგებია, ყოველთვის. არ გვაქვს ამის საშუალება. ძალიან კარგი იქნება, თუ გამოვიმუშავებთ ერთმანეთთან ურთიერთობის წესებს.

● **გვითხარით, თუ შეიძლება, ზოგი რამ თქვენი ოჯახის შესახებ?**

— ჩემს ცოლს კრისტელი ჰქვია, ვაჟს — ლორანი, ქალიშვილს — მარინა. ლორანს ფეხბურთელობა უნდა, მაგრამ, ვფიქრობ, დიდი მიღწევები არ ექნება. ვცხოვრობ ნანსიში, ლოტარინგიაში. დავდივარ „ფიატით“, თუმცა, ჩემი აზრით, ყველა მანქანას „ფერარი“ სჯობს. ღვინოს ძალიან ვერიდები. ვსვამ მინერალურ წყალს და ვეწევი ცოტაოდენ სუსტ სიგარეტს.

● **რას აკეთებთ თავისუფალ დროს?**

— ფეხბურთის შემდეგ, უმთავრესი ჩემთვის ოჯახია, შემდეგ მეგობრები. ძალიან მიყვარს ჩოგბურთის თამაში.

მოამზადა გივი თორელმა.

ნაკლები ოფსაიდი, მეტი გოლი...

შვეიცარიის ტელევიზიით გადაიცა ინტერვიუ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანთან იოზეფ ბლატერთან, რომელმაც განაცხადა, რომ ფიფა ეფექტურ გზებს ეძებს თამაშის სანახაობრივი მხარის ასამაღლებლად. ამიტომაც, 17 წლამდე ასაკის მოთამაშეთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც აგვისტოში უნდა გაიმართოს ეკვადორში, გამოცდიან ფეხბურთის თამაშის წესების სამ ახალ პუნქტს:

1. თამაშგარე მდგომარეობის წესი აღინიშნება მხოლოდ კარის ხაზიდან 16 მეტრის დაცილებით შემოფარგლულ ზონაში;
2. მეკარეს უფლება ექნება, ბურთს ფლობდეს მხოლოდ 6 წამის განმავლობაში;
3. ფეხბურთელებს აეკრძალებათ ბურთის უკან, მეკარისთვის ხელში მიწოდება.

ყველაფერი ეს კეთდება საიმისოდ, რომ გაიზარდოს ფეხბურთის საერთო შედეგიანობა, ვინაიდან, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიაში აღინიშნა ყველაზე ნაკლები გატანილი ბურთი ამ შეჯიბრებათა ისტორიაში.

ეს ექსპერიმენტული წესები იმოქმედებს მხოლოდ ამ ორკვირიან ტურნირზე (32 მატჩი), რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 16 ქვეყნის გუნდი.

„ფრანს ფუტბოლის“ კლასიფიკაცია



ყოველი წლის დასასრულს ევროპის სხვადასხვა გამოცემები ადგენენ ფეხბურთში კონტინენტის სახელმწიფოთა ნაკრები გუნდების საკლასიფიკაციო სიებს. ამ კლასიფიკაციათა შორის ყველაზე პოპულარულია ფრანგული „ფრანს ფუტბოლის“ მიერ შედგენილი სია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს საერთაშორისო ფეხბურთში.

გთავაზობთ 1990 წლის ევროპის ნაკრები გუნდების საკლასიფიკაციო სიას, შედგენილს „ფრანს ფუტბოლის“ მიერ:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
2. ირლანდია
3-4. ინგლისი, იტალია
5-6. იუგოსლავია, საფრანგეთი,
7. ესპანეთი
8-9. ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა
10. დანია.
11-12. რუმინეთი, საბერძნეთი.
13-14. საბჭოთა კავშირი, პორტუგალია.
15. ბელგია.
16-18. შოტლანდია, შვეიცარია, უნგრეთი.
19-20. უელსი, ჰოლანდია
21. პოლონეთი.
22. ნორვეგია.
23-24. შვეცია, ავსტრია
25-26. ფინეთი, ბულგარეთი
27. ისლანდია.
28. ფარერის კუნძულები.
29. ჩრ. ირლანდია.
30. თურქეთი.
31. მალტა.
32. ლუქსემბურგი.
33. კვიპროსი.

შენიშვნა: ალბანეთისა და სან-მარინოს გუნდები კლასიფიკაციაში არ მოხვდნენ.

მოგვყავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მიერ შარშან ჩატარებული შეხვედრების სია: საფრანგეთი — 1:2, ურუგვაი — 3:3, ჩეხოსლოვაკია — 1:0, დანია — 1:0, იუგოსლავია — 4:1, (მს. ჩემპ.), არაბთა გაერთიანებული საემიროები 5:1 (მს. ჩემპ.), კოლუმბია 1:1 (მს. ჩემპ.), ჰოლანდია 2:1, (მს. ჩემპ.), ჩეხოსლოვაკია 1:0, (მს. ჩემპ.), ინგლისი 1:1, დამატ. პენალტ. — 4:3 (მს. ჩემპ.), არგენტინა 1:0 (მს. ჩემპ.), პორტუგალია 1:1, შვეცია 3:1, ლუქსემბურგი 3:2 (ევრ. ჩემპ.), შვეიცარია — 4:0. ამ ბოლო მატჩში შვეიცარიელებთან პირველად ითამაშა გაერთიანებული გერმანიის ნაკრებმა.

„შიფო რომ დაგვიბრუნდებოდეს...“.

ბრიუსელის „ანდერლეხტის“ ხელმძღვანელობა ძალიან უჩივის მაღალი კლასის გამთამაშებლის არყოფნას, რაც გუნდის თამაშს, ცხადია, აშკარად აუფერულებს,

— ჩვენთვის იდეალური ვარიანტი იქნებოდა, შიფო რომ დაგვიბრუნდებოდეს — თქვა „ანდერლეხტის“ მწვრთნელმა დე მოსმა.

კიდევ ერთი მოთამაშე მწვრთნელი

როცა შოტლანდიელი მაკლაუდი დორტმუნდის „ბორუსიაში“ სამი წლის თამაშის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, მან გადაწყვიტა, „ჰიბერნიანის“ მოთამაშე მწვრთნელი გამხდარიყო. ამ შოტლანდიური კლუბის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დიდი თანხა (700 ათასი დოლარი) გადაიხადა და მაკლაუდმა ორივე მოვალეობა ჩინებულად უნდა შეასრულოს.

მეთექვსმეტე სვეტი

მსოფლიოს მეორე ჩოგანს (ორი კვირის წინ იგი პირველი იყო) გერმანელ ბორის ბეკერს გადაწყვეტილი აქვს მწერალი გახდეს. გაზეთ „ველტ ამ ზონტაგის“ კორესპონდენტთან საუბარში სპორტსმენმა განაცხადა: „ვფიქრობ ეს მოხდება მაშინ, როცა 50 წელი შემისრულდება. არ დაგავიწყდეთ, რომ რაც უფრო გვიან ხდება კაცი მწერალი, უკეთესია, მაგრამ სამწერლო მოღვაწეობისთვის სამზადისს აქედანვე უნდა შევუდგე. სწორედ ამიტომ მტკიცედ გადავწყვიტე ჯერ მიმომხილველი გავხდე და მოვემსახურო სხვადასხვა გამოცემას.

● **უფრო** კონკრეტული მიზნები აქვს მსოფლიოს ექსჩემპიონს ციგურებით ფიგურულ სრიალში ამერიკელ დები თომასს. მას არ სურს თავისი მომავალი მხოლოდ სპორტს დაუკავშიროს. დებიმ, ამჟამად მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიონალთა შორის, წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე: „მე ხშირად ვიღებდი ტრავმებს და ამის გამო ვაცდენდი ძვირფას დროს. ვიცი, რა ძნელია ასეთი იძულებითი შესვენებები მოქმედი სპორტსმენისათვის. ამიტომ გადავწყვიტე გავხდე ორთოპედი და შეძლებისდაგვარად მხარში ამოვუდგე ყველა ტრავმირებულ სპორტსმენს“, — განაცხადა მომავალმა ექიმმა.

● **რამდენიმე** თვის წინ ცნობილ შოტლანდიელ მძლეოსან-სტაიერს, ოლიმპიური თამაშების ვიცეჩემპიონს 10 კილომეტრზე რბენაში ლიზ მაკოლგანს ბავშვი შეეძინა. ვარჯიში მან, ბუნებრივია, დროებით შეწყვიტა, ხოლო როცა განაახლა იგი, სპორტული ფორმა მალე აღიდგინა, წარმატებით გაიარა შესარჩევ შეჯიბრებათა ციკლი და დაიბრუნა ადგილი დიდი ბრიტანეთის ეროვნულ ნაკრებში, რომელმაც მარტში კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა იასპარეზოს. სხვათა შორის, მაკოლგანის მაგალითზე ინგლისის პრესა დაჟინებით ამტკიცებს, რომ დედობა სპორტის ზოგიერთ სახეობაში ხელს უწყობს კიდეც შედეგების მკვეთრ გაუმჯობესებას.

● **ინგლისის** ერთ-ერთი პოპულარული საფეხბურთო კლუბის — „ლივერპულის“ მწვრთნელმა, 39 წლის კენი დალგლიშმა, რომელიც 5 წლის მანძილზე ედგა სათავეში გუნდს (ამ ხნის მანძილზე „ლივერპული“ სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ორჯერ დაეუფლა თასს). გადაწყვიტა თანამდებობის მიტოვება. თავისი ეს მოულოდნელი ნაბიჯი მწვრთნელმა ასე განმარტა: „მაღალი შედეგებისთვის ბრძოლა, რაც ყველა პატიოსანი სპეციალისტის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს, დიდ ფიზიკურ და ნერვულ სტრესებთან არის დაკავშირებული. ჩანს, ასაკში შევედი, ვინაიდან ვგრძნობ, რომ მეტს ველარ გავუძლებ“. მიმომხილველები დალგლიშის განცხადებას გულისტკივილით შეხვდნენ, მით უმეტეს, რომ „ლივერპული“ წლევანდელ ჩემპიონატშიც ლიდერობს (უახლოეს მეტოქეს 3 ქულით უსწრებს).

● **ცურვის** საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით მსოფლიოს რეკორდების რეგისტრაცია ამიერიდან 25-მეტრიან აუზებშიც იწარმოებს. ამასთან დაკავშირებით შემუშავდა მსოფლიო თასის წლევანდელი გათამაშების ახალი გრაფიკი: 13-14 მარტი — მილანი, 16-17 მარტი — ბონი, 19-20 მარტი — ბილბაო, 22-23 მარტი — როსტოვი, 26-27 მარტი — ლენინგრადი, 29-30 მარტი — შეფილდი. ტურნირი დამთავრდება კანადის ქალაქ ვიქტორიაში 9-10 აპრილს. ყოველ სახეობაში საბოლოოდ პირველ რვა ადგილზე გასულ მოცურავეთათვის გამოყოფილია საპრიზო ფონდი 60-60 ათასი დოლარის ოდენობით. ფინალურ გაცურვებში გამარჯვებულ სპორტსმენებს ერიცხებათ 9 ქულა, მეორე ადგილზე გასულებს 7 და ა. შ.

სპორტი საეკლესიო დღესასწაულებზე

თევდორობაზე, ბიჭებო, თევდორობაზე!

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში ხალხს ერთი გამორჩეული საეკლესიო დღესასწაული აქვთ — თევდორობა. ეკლესია წინაპრებს თევდორე მღვდლის საპატივცემულოდ აუგიათ.

ამ ეკლესიის ეზოში დღესასწაულზე ყოველთვის იმართებოდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, აქ საჭიდაოდ ჩამოდიოდნენ კახეთის საუკეთესო მოჭიდავეები, მერე საქმეში რაიკომის მუშაკები ჩაერივნენ — ლელიანის საშუალო სკოლის პედაგოგები ეკლესიის შესასვლელ ჭიშკართან იდგნენ და იწერდნენ იმ მოსწავლეთა გვარებს, ვინც ეკლესიის ეზოში შეაბიჯებდა. ვაი მას, ვისი გვარიც რვეულში მოხვდებოდა.

ორი წლის წინათ რაიკომის ერთ-ერთმა მუშაკმა (ამ სოფლიდან იყო), გადაწყვიტა საეკლესიო დღესასწაული არ ჩატარებულიყო, მკაცრად გააფრთხილა სოფლის ფიზკულტურის აქტივი — საეკლესიო დღესასწაულზე არავინ გაეშვათ, სკოლაში ჩაატარეთ სპორტული ღონისძიებანი. სკოლის დარბაზში ათამდე მოჭიდავე შეკრიბეს, იქვე ფრენბურთისა და კალათბურთის თამაში „გამართეს“, მაგრამ ეს ყველაფერი ულიმღამოდ, ძალდატანებით მიმდინარეობდა. ბოლოს კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტს გიორგი ღვალაძეს და ფიზკულტურის მასწავლებელ ავთანდილ კვიტაშვილს „ნერვებმა უმტყუნეს“, ხელი დასტაცეს ჩოხებს, მუსიკოსებიც „ზედ მიაყოლეს“ და ეკლესიის ეზოსაკენ გაეშურნენ, სადაც ნახერხმოყრილი მოედნის გარშემო უამრავი ხალხი ელოდა ქართული ჭიდაობის დაწყებას.

...წელს ზღვა ხალხი მიაწყდა საჭიდაო მოედანს, ჯერ პატარებმა მოსინჯეს ხერხი და ღონე, მერე დიდებიც მიჰყვნენ, გამარჯვებულებს ფასიან საჩუქრებს გადასცემდნენ.

— სუფთა გამარჯვება მოიპოვა თურქაძემ, გამოაცხადა მსაჯმა და ბაკურის ხელი მაღლა ასწია. თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა ბაკურ თურქაძემ ლელიანის საჭიდაო მოედანზეც ისახელა თავი. აქ დაიწყო მან ჭიდაობა და გამარჯვების სიხარულიც ბევრჯერ განუცდია.

რაჟდენ ბაბრიშიძე,
„ლელოს“ კორ.
სოფ. ლელიანი.
ლაგოდეხის რაიონი.

ინფორმაცია

ათენის პოლიციამ დააკავა ცნობილი რუმინელი ფეხბურთელი დანუტა ლუპა, რომელსაც ბრალად ედება დამნაშავეთა ჯგუფთან კავშირი. 23 წლის ფეხბურთელი — რუმინეთის ეროვნული ნაკრების წევრი ამჟამად ათენის „პანათინაიკოსშია“ ჩარიცხული, მაგრამ საბერძნეთის ჩემპიონატის მატჩებში იგი ორჯერ თუ სამჯერ გამოვიდა მხოლოდ. მწვრთნელებს მის მიმართ დისციპლინარული ხასიათის პრეტენზიები ჰქონდათ და იშვიათად გამოყავდათ მინდორზე. დამნაშავეთა ჯგუფი, რომლის აქტიურ წევრადაც ითვლება ფეხბურთელი, უმთავრესად მაღაზიებს ძარცვავდა.

მოჭადრაკე... მოკრივის ხელთათმანებით

თბილისელმა მოჭადრაკემ, 17 წლის აკაკი იაშვილმა ამ ექვსი თვის მანძილზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან ჯერ კიდევ შარშან, სექტემბერში, შეასრულა საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი. ახლახან კი მოსკოვში დიდ საერთაშორისო ტურნირზე მეორე ბალიც მოიპოვა. ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა მას.



აკაკი იაშვილი

● **აკაკი, თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ ამ ტურნირის შესახებ?**

— ტურნირი V კატეგორიისა იყო. მონაწილეობდნენ 2 საერთაშორისო დიდოსტატი, 4 საერთაშორისო ოსტატი და ეროვნული ოსტატები. დებულების თანახმად, 11 შესაძლებლიდან 7 ქულა საკმარისი იყო საერთაშორისო ოსტატის ბალის მოსაპოვებლად. მე ეს შევძელი, მეორედ მივაღწიე მიზანს და ახლო მომავალში ფიდე-ს კონგრესზე „დამიმტკიცებენ“ ახალ წოდებას.

● **გაგიჭირდათ სახელოვან მეტოქეებთან ბრძოლა?**

— თავდაპირველად ტურნირს 4 შესაძლებლიდან 3 ქულით სათავეში ჩავუდექი. V ტურში თეთრი ფიგურებით დავამარცხე პოლონელი ფიდე-ს ოსტატი მარშალეკი. მომდევნო პარტიაში მოსკოველ ოსტატ შეკაჩოვთან შავი ფიგურებით დიდ უპირატესობას მივაღწიე. წარმატებით გათამამებულმა გამოკვეთილად მოგებაზე დავიწყე თამაში, რამაც სასურველი გამარჯვების ნაცვლად დასანანი მარცხი მომიტანა. შემდეგ, VII ტურში, გერმანელ ოლბრიხთან შეხვედრაში გავიმარჯვე და 4 დარჩენილ პარტიაში ყაიმებს დავჯერდი, პირველი ადგილი კი დავუთმე ბრიანსკელ ოსტატ ივანოვს. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ძირითადი ამოცანა შევასრულე — 7 ქულა მოვაგროვე, რომელმაც III ადგილი მომიტანა. მეორე იყო დიდოსტატი ხოლმოვი.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე სუეტინი მხოლოდ V ადგილს დასჯერდა.

● **როგორ მოხვედით ჭადრაკში?**

— ჭადრაკის თამაში მამამ — მიხეილ იაშვილმა მასწავლა 7 წლის ასაკში. სერიოზული მეცადინეობა დავიწყე ყოფილ პიონერთა სასახლეში, დამსახურებულ მწვრთნელთან შოთა ინწირველთან. მან შემაყვარა არა მარტო ჭადრაკი, არამედ შრომაც. ამ დროს უკვე ვიყავი საქართველოს ჩემპიონი თანატოლებში და მოვხვდი კასპაროვ-ბოტვინიკის საჭადრაკო სკოლაში. აქ გატარებული წლებიც დაუვიწყარი და უმნიშვნელოვანესია ჩემს საჭადრაკო ცხოვრებაში. თავის დროზე ვმეცადინეობდი გიორგი მაჭარაშვილთან და აწ გარდაცვლილ ალექსანდრე იზვოზჩიკოვთან; ამჟამად კი ალექსანდრე ბოკუჩავა და ვალენტინ არბაკოვი მამზადებენ.

● **ნათამაშევი პარტიებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?**

— სამიოდე წლის წინ ბოტვინიკ-კასპაროვის სკოლის სესიებზე, ერთდროული თამაშის სეანსში 4 დაფაზე გარი კასპაროვთან პარტია ყაიმით დავამთავრე. თუმცა, თეთრი ფიგურებით გრიუნფელდის დაცვაში სიახლე გამოვიყენე და 15 სვლის შემდეგ პოზიცია მოსაგები მქონდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა მუდმივი ქიშით შეძლო მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა.

● **ჭადრაკის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიტაცებთ?**

— კრივი, მისი არა მარტო პასიური გულშემატკივარი ვარ, არამედ, თავისუფალ დროს მიხეილ ჩადუნელის ხელმძღვანელობით ხშირად ვვარჯიშობ ხოლმე საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად.

● **მომავალ გეგმებზე რას გვეტყვით?**

— მარტში დაგეგმილი მაქვს 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობა. იგი გამოავლენს ორ მოჭადრაკეს საბჭოთა კავშირიდან, რომელნიც მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ესაუბრა ლევან ლეონიძე

რედაქტორი
თენგიზ ზაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი. კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ვ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-07-55
ხამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მარაგე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სანწოსულის“ სტამბა. 380009, თბილისი, ვ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 20.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისელ ავტორებს პასუხი არ ეგზავნებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20